



პრევიერა

ქუთაისის ლალო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

პნა
ტპრუენიწა



მწე მწე მწე მწე - ჩემი დღე უნდა



გიორგი სიხინაშვილი

„პროექტების ბერნიერება საზოგადოებისათვის მოწყვეტილად შეუძლებელია, როგორც სივსოსე თაჟისი ნიარაგიდან ამოთხროლი და ყნაყოთო ქეიშაში გადარეგლი მყენარინა“.

რეკლამა

ანა კარენინა — ბომანი განსხვავებული ბედის, უკომ-
პრომისა და ჭეშმარიტი ბედნიერებისთვის მებრძოლი მეოც-
ნეუ ადამიანების შესახებ: საზოგადოება და ცხოვრებისეუ-
ლი ნიბრები, ზნეობები-მ თბალური პრინციპები, ბოთლი
თჯახური უბოიუბოთები, მგზნებარე სიყვარული და ღალა-
ტი, პოტილგანბრება და თაგდავიწყება, სიყალბე და ცყუი-
ლი, მოვალეობა და ვრტყეუება, ბედისწყბა და განაჩინი...
„დიდი მიზნების და დიდი სელოვნების ეპოქის“ უდიდესი
მოაზროვნის მიერ, კლასიკური, მსაცვრელი-ბეალისცუბი მან-
ერით გადმოცემული დიდი სიყვარულის ცბაგიუელი ისტორია.
საუკუნის ბომანად აღიარებული ეს გენიალური ნაწარ-
მოები, თაჟისი 135-წლიანი ისტორიის მანბილზე, აბაერთსელო
გამსდარბა სელოვანთა ინცერპრეცაციის შოგანების წყარო...

● მეთეზან მამუკელაშვილი

„ყოველნაიბი განსჯა სიყვარულს ანადგურებს“ —
ამბობს ცოლსციტი, მაგრამ ადამიანებს უყვარბო გან-
სჯა... სოლო მან, ვისაც შეუბოია გომეზებით გან-
სჯას ადამიანის გონების ნაწარბოები, ვინც და-
ჯილოდებულია ნიბითა და უნარბო ჩაწედეს მისი
ჩანაბიბრის იდუმალო სიბრბეებს, წარბოისასას და
განბცადოს უბადიბესი შეგბბბებში, დაისარბას და
შეცმნას სელოსალი მსაცვრელი სინამდვილე... უბად
იცის თაჟისი დანიშნულოება, ადგილი სელოვნების სამ-
ყარბში, თაჟისიუ ცხოვრების აზბი და პასუხებიც
შეკითხვებზე, ბბბოებიც სსჯა ადამიანებს უჩნდებობ
მისი შებბბბბების მიმბრბ... ასე მაგალითად: ბბბბ
„ანა კარენინა“ და ბბბბ ბბბბ? ბეზრბისთვის სბინ-
ცერბსა ამ „მბრალბმეცყველი“ შეკითხვბო მივმბრ-
ბაფბ სპეცეალბის დამდგმელო ბეჟბსბბბ, მბცბმ გბბრ-
გი სბსბბბბბბბბ.

— როცა რეჟისორი კონკრეტულ მასალას ბრჩეებს დასა-
დგმელად, ე.ი. მას აქვს კონკრეტული საბქმელი, და ეს
საბქმელი აქტუალურია ბმ დროში, რომელშიც ბს ამ
დადგმას ახორციელებს. ჩვენი ფიცბარნაგი ბბბბა ბბბს სა-
შუალებას, რომ საბქმელი ხაღბს სცენიდან მივბწოლობ,
ჩვენი ქადაგება სცენიდან ხდებბ. ჩემს მიერ გახორციელე-
ბულ სპექტაკლებს ბუ თვბბს გადაბვლებბ, დარწმუნდებბთ,
რომ ბბბბბული მბბბანი დბტერბბულია ბმ საბქმელიბ,
რომელიც მე მქონდა, ბმ ბბბბ, რომელიც მიმბჩნდა, რომ
მბბშენელოვანი იყო და ბმ ბებბბ, რომელიც აქტუალური
იყო ბმ დრობისთვის, როცა ეს სპექტაკლი კეობდებოდა.

„ანა კარენინა“, ტოლსტოის ეს გენიალური რომანი, ნე-
ბისმიერ ეპოქაში აქტუალურია და ამბბბბბც არბს კლასიკა.

პრობლემები, საბქმელი და სატკივარი, რომელზეც ავტორი
გვესაუბრება, დღეგანდელ ყოფაშიც მტკივნეული და აქტუა-
ლურია; მბთ შორბს ქარბულ ყოფაში, ქარბულ ბჯახებში
და წარბბბბბბბბ, რომ არბბბბბბ მბბშენელოვანია, ვბბრე
აფხბზეობის, გლობბლიზაციის, ნარკომბბბის, ბბბბა და სსჯა
საჭბბბბბბბბ თებები, რომლებსაც ჩვენ შევეგმბბბბბ ჩემბ
მმბრბელობბს პერიოდში ამ ბეატრში.

— მბბბც ბბბბ მიდგომბრბბს საბბბბლის და პრბბ-
ბბბბს არბი, და ბბბბბ მიგბჩნბბბ, ბბბ ბს აბცეა-
ლურიბ ბბბბ...

— ეს არ არბს მხოლოდ XIX საუკუნის რუსეობის პრობ-
ლემბ. ტოლსტოიმ კონკრეტული დრო და სბერცე ბბბო,
მასბბა კი ბბბბბბ გენბბლურბა, რომ ბს აბსოლუტურად
საყოველბბბა და მას ეროვნება არბ აქვს. ჩვენ ვბბბბბ-
ბსწბბბბ ეპოქას, ყოფას, რბდგბნ ამბს გაუბბბბბბბბბბბბ-
ბა არ შებბბება, მბგრამ ეს პრობლემბ ნებბსმიერი ერბს
და ქვეყნბს პბბბბბბბბ ბბბბ. მბშბნ რბ ვბქვბთ შექსპირზე,
მოლიერზე, ბბსენზე და სსჯა არბქარბულ დრამატურგბაზე.
ეს რბ, მხოლოდ ბბბბი პრობლემბბა? ბს გენბბლური მბ-
სბბბბ, რომლებსაც რეჟისორები ვბრჩეობ და ვბბბბ, ერთ
ბეატრბლურ ენაზე დაწერილი ნაწარბბბბბბ, რომლებსაც
ბმ დროს, ბმ ყოფას და სბტუაციას ვბრბებბ, სბბც ვცხ-
ბერობბ და გბბბბბბბბბ. ბუ სპექტაკლიც ბსეობეე კარ-
გბა, როგორც მასბბა, მბშბნ ბსბც საყოველბბბო ხდებბ;
შებბბება ნებბსმიერ ქვეყბბბაში წბბბო და უცხო მბყურე-
ბბბბბბბბ მბსბბბბ გბხდეს. მბბბბბბ ბს ზუსბბდ იყოს
ამბბბბბული, გაბზრებული და დადგმული, როგორც ტოლ-
სტოის ეს უკვბბბი რომბნი, რომელიც მბბბბბ მსოფლიობ
ბბბბბ, როგორც შედევრი. სბყვბრუბბის ბსტორბა, რომელ-
საც თვბბბყურს ვბბბბბბბ, მბრბბბბბბ და მას ეპოქბს და
ეროვნული კუთვბბბბბბ ჩარჩობბთ ვერ შემოსბზდვრბგ. ▶



რასაკვირველია, ყველა შეყვარებული ქალი კარენინა არ არის. კარენინები საუკუნეში ერთხელ იბადებიან, მაგრამ ყველა საუკუნეში იბადებიან... ანას არ სტანჯავდა უფლებლობა. ის მოქმედებდა და მოღვაწეობდა იმდროინდელ საზოგადოებაში, სარგებლობდა ყველა პრივილეგიით, რაც შეიძლებოდა მისი წრის ქალბატონს ჰქონოდა. მას ვხედავთ საღონურ შეხვედრებზე, ოპერაში, დოღზე. ის ყველასთვის თვალშისაცემია, ყოველთვის ყურადღების ცენტრშია, გარკვეული ნაწილისთვის გაიდევალებულია. კარენინს წილად ხვდა ქალი, რომელიც მთელ რუსეთში ყველასთვის სასურველი და მისაბაძი იყო. ამიტომ ბუნებრივია, რომ მისი ცხოვრება და პრობლემები ყოველთვის ეპიცენტრში ექცეოდა; აინტერესებდათ როგორ იცმევდა, როგორ დადიოდა და მოძრაობდა, როგორ საუბრობდა, იყო მანერული და ეს ყველას მოსწონდა. მისი წრის ადამიანებისთვის უცხო არ იყო ტყუილი, ღალატი, თვალთმაქცობა, გარყვნილება, და არც ამხელა სიყვარული შეეძლოთ. ანა გამორჩეული იყო და იმიტომაცაა მისი ბედი განსაკუთრებული.

მიმაჩნია, რომ დღეს, როგორც არასდროს, ხელოვანი უნდა დაინტერესდეს ადამიანით, მისი ბედით, შინაგანი სამყაროს ამოცნობით, რადგან სწორედ ადამიანია სამყაროში ყველა პრობლემის საწყისი და ამ პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გამოსავალიც.

— ბოლოში ავტორი ერთი და იგივე პრინციპს იმედგანოდ მიმართულებით ხსენის. სიუჟეტური განვითარების სათავეები და მამოძრავებელი ძალებია სხვადასხვა გმირების ღრმა დრამატიზმით გამსჭვალული სოლიდური ბიების პრეტენსია, მათი განსხვავებული მისწრაფებები და იდეალები, ბოლოშიც წინააღმდეგობაშია ტყალუბრის სინამდვილესთან. ისინი მაქსიმალისტები ატიან თავიანთ მთხმფრმსა და სოტვიოლმში, ჰშირად ჰვდმირნ კაოხის სამსჯავრზოჲ, პოულომზრ, ან ვრ პოულომზრ გამოსავალს მდგმაროლმდინ, მაგრამ ჟსრბრავიან განივითარონ ყვოლავო მალალი ადამი-

„ქალებს, როგორც მეუღლებს ცხოვრობაში, ყველა ათი ათასი თაობის განმავლობაში მძიმე მონობაში ჰყავთ მამაკაცები. ეს სიბეა იმის გამო, რომ ის დამსჯილეს და წაართვის მამაკაცებთან თანახმობა“...

რეზილიენცია

ანუთი ლიტერატურა. თქვენ ბოლო კაზს იტყვით თქვენ- ნეულ ვრსიაში?

— ხშირად ვფიქრობ, თუ ვისი თვალთ უყურებს რომანს ავტორი. პირველად რომ წავიკითხე, მეგონა ეს ლეონის თვალთ ხდებოდა, შემდეგ კარენინის, შემდეგ ანას, შემდეგ ვრონსკის... გენიალურობა სწორედ იმაშია, რომ ავტორი გვაჩვენებს მთელ საზოგადოებას, ყველა შრეს, ყველა ფენას და, რაც ყველაზე მეტად მხიბლავს, გვთავაზობს ამას არა შავ და თეთრ ფერებში, არამედ გვაცნობს ადამიანს თავისი ნაკლით და ღირსებებით. ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის სამეული, რომელსაც მაყურებელი ყოველთვის ელოდება, როცა კარენინა იდგმება. ის არ უნდა იყოს სწორხაზოვანი, ანუ ვიდაცა მართალი, ვიდაცა მტყუანი. თავისი სიმართლე და ლოგიკა ყველა გმირს აქვს. საინტერესოა უბრალოდ შენ, შენი პოზიციიდან გამომდინარე, ვის მხარეს დაიჭერ. მე ყველას მივცემ იმის საშუალებას, რომ გმირებზე შევეჩმნათ, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შთაბეჭდილება, რადგან ისინი ადამიანები არიან და ბუნებრივია, სცოდავენ... ბევრ სიკეთეს აკეთებენ, ან უნდათ გააკეთონ, მაგრამ სცოდავენ, რადგან მოკვდავნი არიან.

ჩემი თვალთ ამოკითხული და დანახული ამბავი პოეტური სიყვარულის ნიმუშია, რომელმაც, საუბედუროდ, ვერ გაუძლო საზოგადოების ზეწოლას და, თავისი სიწმინდისა და მგზნებარების მიუხედავად, ამ საზოგადოების განსჯის მსხვერპლი გახდა.

აი, ეს არის ჩემთვის მთავარი.

— ბოლომდე რეჟისორს, უკვე ბოლომდე გიწევთ ამ ნაწარმოებზე მიუბრუნება.

— როცა თუმანიშვილის თეატრში ვაკეთებდი ამ სპექტაკლს, მაშინ მაინტერესებდა რა დამოკიდებულება ჰქონდა თვითონ ავტორს ამ რომანთან. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ტოლსტოის აქვს საკუთარი დღიურების ბევრი ტომი, სადაც თავისი ნაწარმოებების შესახებ გვთავაზობს ძალიან საინტერესო მასალებს, თუ როგორ იქმნებოდა ეს შედევრები. „ანა კარენინაზე“ მას პირდაპირ უწერია. „ანა კარენინა“ - ჩემი დღიური. ეს ერთგვარი კამერტონია დამდგმელი ჯგუფისთვის. თუ ჩვენ ჩვენს დღიურებს გავაკეთებთ, თუ ჩვენი მეგობრების, ახლობლების, ოჯახის წევრების, ნათესავების შესახებ ყველაფერს თავს მოვუყვრით, კარგად გავიხსენებთ როგორ იყო, რა ხდებოდა, რას განვიცდიდით მათი მონაცოლით და რა გადაგხვდა ჩვენი ცხოვრების გზაზე, თუ მოვახერხებთ ეს ყველაფერი ერთ ფოკუსში მოვაქციოთ და მივიტანოთ მაყურებელამდე ჩვენი დღიურების სახით, ალბათ, ეს იქნება ამ სპექტაკლის წარმატების ერთ-ერთი უმთავრესი გარანტი, რადგან მაყურებელს აინტერესებს ის, რაც დახურულ კარს მიღმა ხდება; ეს არის ჩვენი დღიურები, რომლებსაც არავის არ ვაჩვენებთ. ამ შემთხვევაში ჩვენ სცენაზე ეს დღიურები გამოგვაქვს...

— ბოლოში გადვთ გადამწყვეტილი სპექტაკლი და ბოლომდე სიბრძნე თქვენს მიერ განსაზღვრულ ვრსიაში?





— „ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთს ჰგავს, ყველა უბედური ოჯახი უბედურია თავისებურად“.

— ასე იწყება ინსცენირება. ეს არის მთავარი თემა, რომელზეც მე ვაპირებ ვისაუბრო. სიახლის თქმა არ არის იოლი.

ძნელია ამხელა რომანს შეეჭიდო; ეს დიდი ტილოა და გადაიტანო იგი სცენაზე ისე, რომ არაფერი არ დაგეკარგოს, არ დაარღვიო სიუჟეტური ქარგა და თან, მაყურებელმა მოახერხოს და მოასწროს იმ ისტორიის აღქმა, რომელიც იშლება ჩვენს თვალწინ, თუ რეჟისორს ხერხი და ფორმა არა აქვს მოძებნილი, როგორი ინსცენირებაც არ უნდა გააკეთო, რთულია. ჩვენ გამოსავალი ვიპოვეთ იმით, რომ ეს არის კინოგადღება და სცენებსა და სცენებს შორის გადამღები ჯგუფი ამზადებს გადასვლებს, აწყობს ახალ სცენებს, რაც საშუალებას იძლევა დავაჯეროთ მაყურებელი იმ დროის მიმდინარეობაში, რა დროსაც ითხოვს რომანის მოქმედება, ამ ისტორიის განვითარების დრო. მაგრამ ეს არის სცენური დრო, რომელიც ისე უნდა წაიკითხო, რომ არ იყოს ტყუილი, რომელსაც მაყურებელი არ გაპატიებს. პირადად ჩემთვის, როგორც რეჟისორისთვის, ურთულესია დადგა კომედია და გააკეთო სპექტაკლი სიყვარულზე; ითამაშო შეყვარებული ადამიანი და იყო დამაჯერებელი ისე, რომ არ გამოიყენო პირველი პლანი და წამოწყო მეორე-მესამე პლანი, უმაღლეს ოსტატობას ითხოვს. ანამ და ვრონსკიმ დაინახეს ერთმანეთი და შეუყვარდნათ. ამის დადგმა და თამაში ურთულესია, ისევე, როგორც კარგი კომედია, სადაც გენიალური აქტიორები თავის ოსტატობას აჩვენებენ. ორივე შემთხვევაში, თუ სიმართლის სხვა გრადუსი და სწორი ფორმა არ იქნა მოძებნილი, არაფერი გამოვა. როცა ადამიანი შეყვარებულია, მისი თვალები და საქციელი მეტყველებს ამაზე, მითუმეტეს, თუ მრავალადა ხელისშემშლელი პირობები, როგორც ეს რომანში ხდება. აქ ლაპარაკია ოჯახზე, ოჯახის ნგრევაზე, დაღატაკე, მაგრამ რის ფასად, ძალიან დიდი სიყვარულის ფასად. შეცდომით შექმნილი ოჯახი ინგრევა. ეს ყველაფერი უნდა მოიტანო მართალი სიტყვით, მართალი ემოციით, მართალი თვალთ. რამდენადაც რთულია, იმდენად საინტერესოა ამ კუთხით მუშაობა. გცდილობთ, მთელი ჩვენი ცოდნით, სკოლით და გამოცდილებით მივიტანოთ ეს მაყურებელამდე და თუ მაყურებელი ამას დაინახავს, ეს იქნება ჩვენი დიდი წარმატება.

— სამწუხაროდ, ბოლოში გმირთა სუბტილური და შესაბამისობაში არ ემთხვევა ერთმანეთს... სპექტაკლის შემთხვევაში ბოლომდე არის? ბამდენად მიღწევადია თქვენი სუბტილური თეატრის შესაბამისობაში მისაღწევადი? სამამისებრში და რა ნიშნით შეატრიათ მსახიობები?

— სწორი განაწილება არის 75% გარანტი წარმატებული სპექტაკლის. ეს ისეთი მასალაა, რომ კონკრეტულ ადამიანებზე უნდა მორგდეს. ამ შემთხვევაში მსახიობების პიროვნული თვისებებიც ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია. თამამად შემოიღია ვთქვა: რომ არა ენდი ძიძავა, გიორგი ზანგური და დათო როინიშვილი, მე „ანა კარენინას“ არ დაგვამდი; ანუ, მათი სამსახიობო ოსტატობა „პლიუს“, მათი პიროვნული თვისებები, იყო წინაპირობა, რომ ამ მასალას შეეჭიდებოდი. ზოგჯერ ხდება, რომ ორ-სამ კაცს მოიზარებ ამა თუ იმ როლზე, მაგრამ, როცა კარენინას აკეთებ, აქ ეს შემთხვევა გამოირიცხვება, რადგან, ვიმეორებ, ეს არის პროფესიული და პიროვნული თვისებების თანხვედრა. ჩემი არჩევანი თეატრში კონკრეტული ადამიანების მოსვლა

განაპირობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ ნაწარმოებს არ დაგვამდი.

— ცოლსცოლი ხოთი ქალი მეშათმდია „ანა კარენინაზე“ და ბოლოსთან ერთად იცვლებოდა ჩანათიქტი, ბოლოსის სქემა, ბოთლდებოდა სიუჟეტი და კომპოზიცია, ბოლოდებოდა ბოლოდებოდა იცვლებოდა გმირთა სახეები. რა ბოლო საჭირო, ბოლო ამხელა ნაწარმოებოდა ბოლოდებოდა სპექტაკლი და ბოლო მდგომარეობოდა მთავარი სიტუაციო ბოლოდებოდა ბოლოდებოდა?

— დრო რომ მათემატიკური თვალსაზრისით ავთენტული, მაქსიმუმ 35-37 დღე სჭირდება სპექტაკლს, რომ შეიკრას. ეს სარეპეტიციო დროსაც გულისხმობს და ე.წ. „პრაგონებსაც“. მაგრამ სცენაზე გადასვლის შემდეგაც, ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას მოვლენებზე, დეტალებზე... როგორ ხედავს რეჟისორი, როგორ გრძნობს მსახიობი, რა ამოცანა აქვს კონკრეტულ გმირს კონკრეტულ მოვლენაში. ეს უშრეტი მასალაა, რომელიც საშუალებას გაძლევს ათი, თორმეტი ვერსია მოიფიქრო, და ასევე ძნელია შეჯერდე საუკეთესო ვერსიაზე. დიდი დრო წაიღო სამაგიდო სამუშაოებმა და ამოკითხვამ. ამას ემატება რთული დეკორაცია და ტექნიკური პრობლემები. ჩვენ ძიებაში ვართ და უფრო არქეოლოგებს ვგავართ მოსამზადებელ პერიოდში, საუკეთესო გამოსვლის ძიებაში; მართალია, ამას მეტი დრო მიაქვს, მაგრამ ჩვენ გვიღირს ეს დრო. არ შეიძლება ზერელედ მოეპყრა და მარტივად შეხედო ამ გენიალურ რომანს, რომელიც, მე ვთვლი და მიმაჩნია, რომ ფოტოგრაფიულ ასახვამდე სიზუსტით არის დღევანდელ ყოფასთან დაკავშირებული. აი, ჩვენც ამ სიზუსტეების დადგენის პროცესში ვართ.

— საინტერესოა თქვენი აზრი „ანა კარენინას“ სხვა თეატრალურ და კინო ვერსიებთან დაკავშირებით.

— ვიცი, რომ „ანა კარენინა“ იდგმება რუსეთში. საქართველოში, მარჯანიშვილის თეატრში მისი დადგმა განახორციელა ქალბატონმა მედიკო კუჭუხიძემ: ანა კარენინა ხელდათ სოფიკო ჭიაურელი. სამწუხაროდ, მე მხოლოდ ინფორმაცია მაქვს და ეს სპექტაკლი არ მინახავს. რაც შეეხება კინოვერსიებს, 1935 წელს ეს როლი განასახივრა გრეტა გარბომ, 1948 წელს — ვივიენ ლიმ, 60-იან წლებში — ეკატერინე სამოილოვამ, 1997 წელს — სოფი მარსომ. გულწრფელად გითხრათ, რაც დამაკლდა ამ შთაბეჭდილებებიდან იყო ის, რომ ეს არ იყო დღიურები. მე ვერ დავინახე ის, რასაც თვითონ ვეძებ. ჩემთვის ეს იყო ქმედითად წაკითხული ლიტერატურული მასალა. ამიტომ დამიტოვა გარკვეული უკმაყოფილება.

— თქვენც კინემატოგრაფიის შესაბამისობაში გაცილებით უფრო შეუძლებელია, ბოლო საღამო სულის უფაქციის ნიუანსების გადმოცემას ეხება. რას გვცდით იმ დამატებითი გამომსახველი საშუალებების შესახებ, ბოლოდებოდა გქმნა ბოლოდებოდა შთაბეჭდილება განსაზღვრული გმირთა და მდგომარეობათა დასახილავად, უფრო მბრუნავი და შესატყვისი მთავარი იდეა.

— ნებისმიერი სპექტაკლის წარმატების გარანტი არის პარმონიულად შერწყმული ანსამბლი. რეჟისორებს ასეთი ბედი გვაქვს: თუ კარგი სპექტაკლია — მსახიობები თამაშობენ კარგად, თუ ცუდი სპექტაკლია, ე.ი. რეჟისორმა ვერ დადგა კარგად. მე კი მეონია რეჟისორებიც და მსახიობებიც ერთად ვიმარჯვებო, ან ერთად ვმარცხდებით. სპექტაკლის მხატვარია შოთიკო გლუზარძე, დღეს ქართული თეატრალური მხატვრობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, ძალიან კარგი შემოქმედ; ჩემთვის მასთან მუშაობა დიდი სიამოვნებაა. მან კარგად იცის თეატრი, მსახიობი, ზუსტად ქმნის იმ გარემოს, რომელსაც რეჟისორი თავზოვს, ზუსტად ხდება სპექტაკლის გრძნობათა ბუნებას, ▶

თავისი ოსტატობით ის ძალიან კარგი სცენოგრაფი და შესანიშნავი ფერმწერია. მისი სცენოგრაფია ყოველთვის მოხერხებული და კომფორტულია მსახიობისთვის, ხოლო, როგორც ფერმწერი, მაყურებელს შესანიშნავად უხატავს თითოეულ სცენას.

— თქვენ სპექტაკლში მუხიკალურ დრამატურგიას ცოფულთვის განსაკუთრებული დაცვითაა აქვს...

— მეტსაც გეტყვით. მე თუ მუსიკა არ მესმის, ვერც კი ვიწყებ დადგმას; მიჭირს დავიწყო იმ სამყაროს შეთხზვა, რომელშიც მერე ჩემს გმირებს ვასახლებ. როცა ინსცენირებას ვწერდი, თავისდაუნებურად მესმოდა მალერის მეხუთე სიმფონიის მეოთხე ნაწილი. ეს ნაწარმოები მგონია, რომ სპეციალურად ამ რომანისთვის არის დაწერილი. მთავარ მუსიკალურ თემას ცალკე დრამატურგია აქვს, ის კიდევ ცალკე გვიყვება ამბავს, რომელიც ჩემთვის ტოლსტოის მონათხრობის იდენტურია. როგორც რეჟისორს, ვერ წარმომიდგენია „ანა კარენინა“ სხვა მუსიკალური თემის თანხლებით. იმ სპექტაკლის ჩემი პირველი რედაქციიდან ბევრი რამ შეიცვალა, ბევრი არა, მაგრამ ვერ შეველიე ფორმას, კინოგადაღებას. არც ის შეიძლება, რომ ნინელი ჭანკვეტაძის, გოგა პიპინაშვილის, გია როინიშვილის დღიურები დაემთხვეს ჩვენი მსახიობების დღიურებს. რვა წელი გავიდა ამ სპექტაკლიდან და ბუნებრივია, მეც შევიცვალე; როგორც რეჟისორი, სხვა ჭრილში ვუყურებ მასალას, მაგრამ მუსიკას ვერანაირად ვერ შეველიე.

— კიდევ ერთი სიახლე. თქვენ სპექტაკლში დააჯავთ თეატრალური უნივერსიტეტის ქუთაისის მიწნობითი ჯგუფის სცენარეები. თქვენ ამ ჯგუფის ხელმძღვანელი მბრძანებელი. რა როლი უკისრებით ამჯერად ახალბედა მსახიობებს?

— მახსენდება რვა წლის წინანდელი ისტორია. მაშინ ბატონ გოგი მარგველაშვილს ჰყავდა ჯგუფი თეატრალურ უნივერსიტეტში და ამ ჯგუფში ვმუშაობდი მეც.

როცა „ანა კარენინაზე“ მუშაობა დავიწყე, პირველად მე მივიყვანე ეს ჯგუფი თეატრში ამ სპექტაკლით. ბევრი მათგანი უკვე თეატრის მსახიობია. ამჯერადაც, პირველკურსელებისთვის ეს დიდი ფუფუნებაა. ისეთი



ტრადიციების თეატრში, როგორც მესხიშვილის თეატრია, მოგეცეს შესაძლებლობა, მოიპოვო უფლება შემოხვიდე თამამად, სცენაზე დადგე და მონაწილე გახდე ისეთი მნიშვნელობის სპექტაკლის, როგორიც „ანა კარენინაა“, ეს დიდი პასუხისმგებლობა და დიდი პატივია. მათ ეს მთელი ცხოვრება არ დაავიწყდებათ. ყველა მათგანს წარმატებული შემოქმედებითი ცხოვრება მიწადავუსურვო. ჩემი სტუდენტები არიან და როგორც პედაგოგს, განსაკუთრებით მიწადავუსურვო, რომ მათი პირველი ასვლა ფიცარანაზე ფეხბედიერი იყოს. თუმცა, ვცდილობ ძირითადად ტექნიკური თვალსაზრისით დავტვირთო, იმიტომ რომ, კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ პირველ და მეორე კურსზე, მსახიობის ოსტატობის შესწავლას მოწყურებულმა ახალგაზრდამ, ისეთი რამ აკეთოს, რაც არ შეიძლება საწყის ეტაპზე. ამ საფეხურზე სხვა რამეა საჭირო. ისინი უბრალოდ ეგუებიან გარემოს, თეატრს, გვეხმარებიან კარგი სპექტაკლის მომზადებაში, ასახიერებენ გადამღებ ჯგუფს და ამზადებენ მსახიობებს გადავიდნენ სცენიდან სცენაზე.

— „თუ არ იცნებ ცოლსცოლის – ნუ ჩათვლი შენს თავს კულტურულ ადამიანად“. – ამბობს გორკი, რომელიც ცოლსცოლის შემოქმედებას ათასწლეულთა XIX საუკუნის რუსული კლასიკური ლიტერატურის განვითარების შიდაგვს. მესხიშვილის თეატრის საბრძოლველად პოლიტიკას დღემდე, ძირითადად, ქართული კლასიკური და თანამედროვე დრამატურგია განსაზღვრავდა. ამჯერად, როგორ შეაჯამებდით თქვენი არჩევანის და გაქრული მუშაობის შიდაგვს?

— თუ შეიძლება მასალები დაიყოს კატეგორიებად, ამჯერად ჩვენ საქმე გვაქვს უმაღლეს კატეგორიასთან. ნაწარმოები მრავალმხრივ საინტერესოა, ხოლო შემოქმედისთვის ეს არის ერთგვარი აკადემია; ის გაფიქრებს, გასწავლის, საშუალებას გაძლევს ხელახლა დაეუფლო და აღმოაჩინო შენი პროფესია! დარწმუნებული ვარ, რომ არტისტებსაც ანალოგიური შეგრძნება აქვთ. რადგან სწორედ უმაღლესი კატეგორიის მასალა იძლევა ამის საშუალებას. ჩვენ ყვევებით ღრმა დრამატიზმით აღსავსე ქალის ცხოვრების ისტორიას და ტოლსტოიმაც თავის გენიალურ რომანს უწოდა „ანა კარენინა“. ამოსავალი ჩემთვის ეს არის და ყველა გმირი თანამონაწილეა იმ ისტორიას, რომელიც ანას გადახდა.





პროტესტი მაღარი საზოგადოების თვალყურ ნიშნად

როცა ამ წერილს კითხულობთ, მინდა ყოველ წუთს ანაზე ფიქრობდეთ!

ბავშვობიდან მიღწილია გულის ერთი მომენტი... — ნუთუ ანა ვერასოდეს იქნება ბედნიერი, ნუთუ სიყვარულისთვის გად-
ადგმულ თამამ ნაბიჯს არ მოაქვს ბედნიერება...

ყოველთვის მამშვიდებდა ის, რომ ანა თავისუფალი მოკვ-
და...

არამარტო ის დარჩა თავისუფალი, არამედ გაათავისუფლა
ყველა.

განა თავისუფლება უფრო ძვირფასი არ არის, ვიდრე სიყ-
ვარული...

ტოლსტოის „ანა კარენინა“ ისე მოულოდნელად გამოჩნდა
მაშინდელ ევროპულ მწერლებს შორის და იმ სიმაღლეს მიაღ-
წია, რომ გახანგრძლივებული კაცობრიობა, დღესაც ისე გავლენით
შესცქერის მას, როგორც ეგვიპტურ პირამიდებს.

● ღაზით ლიბლიბამი

ტოლსტოი წერდა: „ანა კარენინა ჩემი დღიურებია“...
ენდი ძიძავაც თვლის, რომ ერთ მშვენიერ დღეს მაყურებლის
უდიდესი ნაწილი აღმოაჩენს და მიხვდება, რომ ეს რომ-
ანიც მათი პირადი დღიურებია. მსახიობს სჯერა, რომ
ნაწარმოებში ყველა მის ნამდვილ სახეს დაინახავს. ზოგი
ანა იქნება, ზოგი დოლი, კიტი, ლევინი და სხვა. თავად
ძიძავა თვლის, რომ ის ანას ასაკშია.

ენდი განმარტავს, რომ ანა ჩვეულებრივი ქალია და
ნებისმიერი ქალი შეიძლება აღმოჩნდეს მის მდგომარეობაში.
ის, რაც კარენინების ოჯახში მოხდა, ყველა იდეალურ
ოჯახში შეიძლება მოხდეს. მსახიობი გვირის ტრაგიზმში
კარენინს ადანაშაულებს. ცოლ-ქმარს ჰქონდათ ყველაფერი,
მაგრამ არ იყვნენ ბედნიერები. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვ

„იმისათვის, რომ აღამიანებს ესმოდეთ შენი, გოლ-
გოთიდან უნდა ელაპარაკო მათ, ჯეშმანიცება ცანჯვით
უნდა გაამჯიყო, ან ყველსია — სიკვდილით.“

რეზ ტოლსტოი

რუსული კლასიკა - სიყვარული, ღალატი, რაინდობა...
განა ეს ყველაფერი ახალი და თანადროულია? რაში
შეიძლება დაგვჭირდეს შორეული წლების სასიყვარულო
ისტორიის რთულ პერიპეტეხებში გარკვევა? მაგრამ საქმე
იმაშია, რომ ადამიანის სიყვარული და მისწრაფება, თავი-
სუფალი ცხოვრებისგან განყენებულად არ არსებობენ, მათ
არ ძალუძთ განცალკევება საზოგადოებისგან და როცა
კვითხულობთ ტოლსტოის „ანა კარენინას“, ჩვენ დღევანდელ
ცხოვრებაში ვეძებთ ამ პრობლემების ანარეკლს. ტოლს-
ტოის ეს ნაწარმოები კარგად არის ნაცნობი ქართველი
მკითხველისა და მაყურებლისთვის.

რეჟისორმა გიორგი სიხარულიძემ მთავარ როლში
მსახიობი **ენდი ძიძავა** დააკავა.

ენდი ტოლსტოის ბევრი ნაწარმოები, მათ შორის „ანა
კარენინაც“ სკოლის ასაკში, დედანში წაიკითხა, რადგანაც
რუსული განათლება აქვს მიღებული. პროგრამულად ნასწავ-
ლმა გმირმა მაშინ სიღრმისეულად არ შეძრა... ბუნებრივია,
სკოლის მოსწავლე ბევრ რამეს ვერ გაითავისებდა. მეტ-
იც, ახლა ამ გადასახედიდან უკვირს კიდევ, რატომ იყო
აუცილებელი სკოლაში ანა კარენინას ტრაგიკული, ქალური
ისტორიების შესწავლა.

მეორედ ნაწარმოებს სტუდენტობის დროს დაუბრუნდა.
მაშინ უკვე საერთო ენაც გამოიხატა მთავარ გმირთან, რადგ-
ან მასაც სიყვარული ეწვია და ანას სხვანაირად გაუგო.
მესამე შეხვედრა მისთვის გაცილებით სერიოზული და
საპასუხისმგებლო აღმოჩნდა. მსახიობი ენდი ძიძავა, თითქ-
მის ერთი წელია, ამ გმირით ცხოვრობს.

ანა კარენინას სამ ეტაპზე აღქმამ (ბავშვობაში,
სტუდენტობაში და ახლა) მისთვის ყველა პერსონაჟი
ნაცნობი და ახლობელი გახადა.

ვით, რომ ძიძავა ყველაფერში ეთანხმება, ან თანაუგრძნობს
მის გმირს. მიუღებლად მიიჩნევს შვილთან, სერიოზულთან
დაშორების ფაქტს; რადგან, რომანის მიხედვით, ანამ იცოდა,
რომ არჩევანის გაკეთების შემთხვევაში, შვილს კარგავდა
და ამაზე წასვლა შეძლო... თუმცა, საერთო ჯამში ანა
კარენინა, მაინც იწვევს უმრავლესობის თანაგრძნობასა და
სიბრალულს, შურსაც კი...

ანა კარენინას გმირის ხიბლი იმაშია, რომ იგი




ალმოჩნდა პირველი იმ ეპოქაში, ვინც საზოგადოებრივი აზრი არ გაითვალისწინა. დინების სანინალმდეგოდ გაცურა და მიზანს მიაღწია (საკითხავია რის ფასად, მთავარია მიაღწია). ამ მხრივ თამამად შეიძლება მსახიობსა და გმირს შორის პარალელების გავლება. ენდი ძიძვასაც უყვარს სირთულეები. ისიც ხშირად დინების სანინალმდეგოდ მიემართება. თუნდაც ამ შემთხვევაშიც. როცა მან ანას როლზე მუშაობა დაიწყო... იმთავითვე იცოდა, რომ ბენვის ხიდზე გადიოდა. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. პირველი, რომ ტოლსტოი აღიარებული რუსული კლასიკა: მეორე ის, რომ ანა კარენინა ქართული თეატრის ჭეშმარიტ ვარსკვლავებს - სოფიკო ჭიაურელსა (მარჯანიშვილის თეატრში) და ნინელი ჭანკვეტაძეს (კინომსახიობთა თეატრში) აქვთ ნათამაშები. მივიღოთ მხედველობაში ისიც, რომ ჯერჯერობით ეს როლი, ყველაზე სერიოზულია მის შემოქმედებაში.

ანა კარენინა ვრონსკის გამოჩენამ მთლიანად შეცვალა. მასში გაიღვიძა უცნობა, თუ მიძინებულმა გრძნობამ. გაიგო ნამდვილი სიყვარულის არსი, რაც აქამდე უცნობი ყოფილა. ანა, კარენინა რომ გათხოვდა, დარწმუნებული იყო, სწორ ნაბიჯს დგამდა. თუკი იდეალებზე ვსაუბრობთ, მან შეცდომა დაუშვა, სავარაუდოთ იგი გათხოვდა გათვლით...

თუ ის გონებით იქცევა, მაშინ რატომ დაუშვა ისევ შეცდომა, როცა გრძნობებს აჰყვა. მას ეგონა, რომ უძლიერესი ქალი იყო და საბოლოოდ ჩვეულებრივი ქალი აღმოჩნდა.

უფრო მეტიც... ანა, რომელიც „მშვიდობის მტრედი“ იყო ყველა ოჯახში, ფინალში მივიღეთ ცხოვრებისგან განერვიულებული და ეჭვიანი ქალია, რომელიც თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს.



პარადოქსია, მაგრამ ანა კარენინას ბრძოლა ყოველთვის, იმთავითვე განწირულია. იგი არასოდეს არ არის მოგებული, მაგრამ ყოველთვის გამარჯვებულია...

ენდი ძიძვა აქამდე გაუკვალავ გზაზე გადის და გეთავაზობს ანას, როგორც საოცარ მოვლენას, მძლავრსა და დაუდგრომელს.

მკაფიო, ლალი და თავისთავადი, რამდენადმე ექსტრაგანტური... ამაყი და აბსოლუტურად დამოუკიდებელი - აი, ასეთია ძიძვასეული ვერსია. ბრძოლა სამყაროს დაუფლებისთვის. იმ სამყაროს, სადაც უნდა განმტკიცებულიყო, დამკვიდრებულიყო მისი მხატვრული ხედავა, მისი შემოქმედებითი პრინციპები.

ილაშქრებს „რომანტიკული“ საუკუნის ამაღლებული, „ნატიფი“ იდეალების წინააღმდეგ და უპირისპირდება მათ, თითქოს განზრახ უხეშ, მაგრამ მძლავრ და ჯანსაღ, უდიდესი ნებისყოფითა და დინამიკით აღსავსე ხელოვნებას.

ძიძვას განსახიერებულ გმირში იგრძნობა ახალი საუკუნის, ახალი ეპოქის სუნთქვა... მისი დაჭიმული, დაძაბული რიტმი...

მსახიობი თავისი მხატვრული ხედვის, შემოქმედებითი სტილის, ხელნერის განუმეორებელი თავისთავადობით, შეიძლება ითქვას, თითქმის ყველა თავის ადრინდელ ნაშრომს აჭარბებს და სწორედ ამგვარ შემთხვევაში, როდესაც ჩვენს წინაშეა ესოდენ ორიგინალურად და დამოუკიდებლად მოაზროვნე ხელოვანი, მისი სტილის სათავეების წარმოჩენა და დადგენა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული... მით უმეტეს რთულია ამ დროს რაღაც გავლენებზე, მეგვიდრეობით კავშირებზე ლაპარაკი, რადგანაც ძიძვამ თავად შექმნა ურჩი და ქედუხრელი ანა. გმირის



ცდის ენდი ძიძავა ყველაფერს. რა გასაოცარი სიძლიერით ამჟღავნებს გრძნობებს. ყველაფერი ისე მოულოდნელად და ისე ძლიერად დაატყდება ხოლმე თავს, როგორც ქარიშხალი.

მსახიობი სცენაზე მარტო არასოდეს არ არის. სცენაზე ორი ენდი ძიძავაა. ერთი თამაშობს, მეორე კი აკონტროლებს. იგი ბედნიერიც არის და უბედურიც... შეიძლება იფიქრო, რომ იგი არასოდეს არის ბედნიერი; თუ არ ჩავთვლით იტალიის სცენებს (სინამდვილეში იქაც არ ყოფილა ბედნიერი). მსახიობის თამაშს საბოლოოდ ალტაცება და სიხარული მოაქვს. მოქმედება უკვე შეიცავს ჯილდოს. იმოქმედო, შექმნა, შეებრძოლო ფაქტებს, გაიმარჯვო მათზე, ან დაგამარცხოს ამ ფაქტებმა - აი, ეს არის ადამიანური სიხარული... მაღალი საზოგადოების ქალისთვის დამახასიათებელი. გარეგნული სიმშვიდით, იგი ფარავს სულიერ ტანჯვას, რომლისგანაც მთელი სხეული უცახცახებს. ასეთია ის ყველა სცენაში, როცა ყველაფერი აქვს, ან როცა ყველაფერი ენარევა. მაშინაც კი, როდესაც გრაფინია ლიდიამ სულის სიღრმედე შეურაცხყო იგი, ან სულაც მაშინ, როცა ანას ფეხმძიმობა, მისი სიყვარულის დაკრძალვად იქცა.

„რომ ვიცოცხლე რა არის ზნეობრივი, უნდა ვიცოცხლე რა არის არაზნეობრივი, რომ მივხვედეთ რისი გაკეთება შეიძლება და რისი არა.“

ლევ ტოლსტოი

მსახიობის ყოველი სცენას ეროვნისთან, კარენინთან, ლიდიასთან, დოლისთან თუ კიტისთან, მარცხისა და უბედურების თავისებური სახის კატალოგია. თითქოს საგნებიც კი მის წინააღმდეგ მოქმედებენ. ამ დროს იგი საოცრად ადვილად ამყარებს კავშირს მაყურებელთან.

საერთოდ ძიძავა ილბლიანი მსახიობია. რასაკვირველია, გამარჯვება ადვილი არ არის, მაგრამ გარესამყარო მას არ ეწინააღმდეგება. ენდის, როგორც წესი, ბევრი მხარდამჭერი ჰყავს პარტერში. იგი არასოდეს არ იკარგება. ჯიქურ მიიწევს წინ. ვერავინ ვერ შეძლებს მისი, როგორც აქტიორის შეჩერებას. არ გააჩნია გრძნობათა რეცესია შემოქმედებისადმი. მისი ბიოგრაფია ამტკიცებს, რომ იგი თეატრის ერთგულია.

ასეთივეა მისი გმირი...

ამაყი სული არ ტყდება, ის უნდა დაისაჯოს. ანა უნდა დაისაჯოს...

ერთ მხარეს სახედაკარგული ბრბოა, მეორე მხარეს ერონსკი და კარენინი...

მათ შორის მდგარი ანა განწირულია...

მიატოვა მაღალი საზოგადოების ფარული ხიბლი, არისტოკრატიული მდგომარეობა, აბსოლუტურად კომფორტული ყოფა...

იცოდა, რომ ორმაგი და სამმაგი უნდა გადაეხადა ბედნიერების იმ ნამცეცებში, რომლებიც ცხოვრებას ძალით წაგლიჯა...

...ნუ განვიცხავთ ხოლმე ანას უმადურობისთვის, ეს მისი ბრალი არ არის. - ის დაბადებული იყო შეუძლებელი სიყვარულისთვის. მან გადაწყვიტა შური ეძია საზოგადოებაზე, თუმცა ვერ შეძლო და გაიქცა. სამაგიეროდ თავად დრომ იძია შური ანასთვის.

მან (დრომ!) ერონსკის და კარენინს განმარტებული და შეუმჩნეველი სიკვდილი, ხოლო ანას ღიღება და აღიარება მოუტანა...

განსაზღვრა კი მძლავრი და უშრეტი ფანტაზიის გარეშე წარმოუდგენელია.

მკაცრი მოხდენილობით მსახიობი უფრო პეტერბურგში გაზრდილ და ჩამოყალიბებულ ქალბატონს მოგვაგონებს, ვიდრე მოსკოველს. თუმცა, მას ბევრად მეტი შინაგანი თავისუფლება ახასიათებს, ვიდრე პეტერბურგელ სტიერეოტიპებს. მისი თავისუფლება ბუნებრივია და არა მოპოვებული, მითუმეტეს არა თვალთმაქცური. ამიტომაცაა ასე ბუნებრივი მისი ელევაცია, ანას თამაშის დროს.

სპექტაკლში საქმე ეხება რეალურად არსებული პიროვნების, ეკრანზე სკრუპულოზური გადატანის მცდელობას. რეჟისორის მხრიდან ერთი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ადრეულთან შედარებით უფრო სერიოზული გამოწვევაა.

გიორგი სიხარულიძემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ზედმიწევნით ფლობს არა მხოლოდ სარეჟისორო ხელოვნებას, არამედ მთლიანად სივრცეს, სადაც დგამს. კონფლიქტის განვითარება არ ხდება მხოლოდ ერთ კუთხეში. იგი ვითარდება ავანსცენაზე, ლუქებიდან, შუაში განთავსებულ და მოძრავ ფიცარნაზე, სცენის თავზე დაკიდებულ ხილზე, კიბეებზე, სართულეზად განლაგებულ კონსტრუქციებზე. სიხარულიძე მთელ სპექტაკლს სხვადასხვა დონეზე შლის, თითქოს ანანევრებს სივრცეს და შემდგომ კრავს ერთიანი მოქმედებით.

სპექტაკლის წარმატებას ბევრი ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის პირველი და მთავარი ანა კარენინას გმირის შემსრულებელი ენდი ძიძავაა.

...ხვალ ბედნიერი ვიქნები! მაგრამ ბედნიერებას არა აქვს ხვალისდელი დღე. მას არც გუშინდელი დღე აქვს. არ ახსოვს წარსული და არც მომავალზე ფიქრობს; მას მხოლოდ აწმყო გააჩნია - ისიც განა მთელი დღე - მხოლოდ წამი.

წარმოდგენაც კი არ შეგვიძლია, თუ რა ღრმად განი-



გიორგი ზანგური

არასტერეოტიპული ერონსკი

● მაკა ჩინიჭიშვილი

ერთი ზრმა, ის კალიან ღრმავა. როცა შემოთავაზება მივიღე, უამრავწამს წავიკითხე, ყოველთვის ახალი აღმოვაჩინე, — ამბობს გიორგი ზანგური. ფიქრობს, რომ მან თავისი ერონსკი იპოვა. თუმცა, „მისეული“ გმირი, უხეშად რომ ვთქვათ, სამა ადამიანმა — მან, ტოლსტოიმ და გიორგი სიხარულიძემ შექმნეს. რადგან. როცა რომანს კითხულობ, თითქმის ხედავ კიდეც, ამიტომაც ყველას კვავს თავის წარმოდგენაში ვრონსკიც, კარენინიც, ლევინიც. მე მიწდა ეს წარმოსახვითი გმირი „ღაგანბნო“. — ირწუნება მსახიობი.

ერონსკის პოვნა საკუთარ თავში არ გაჭირვებია. ყოველთვის ცდილობს გაუგოს თავის გმირს. — არის ხოლმე, შენ ებრძვი

ვი გმირს და გმირიც გმირების. შეიძლება არ ღაგანბნო მას, მაგრამ პერსონაჟს ყოველთვის აქვს თავისი ლოგიკა და ამ ლოგიკას უნდა ბაჰჰე. მე არ უნდა ვიყო ბიოგრაფი ზანგური-ვრონსკის ამბავში. მე ის პიროვნებად არ მგავს, მაგრამ ვეთანხმები. რეალურ ცხოვრებაშიც მეც შეიძლება მოვხვდეთ ისე, როგორც ის. მისთვის ამ კაცის. ვამართლებ ყველა მის ნაბიჯს. შეუშვარდა და უკან არ დაუხრია. „ანა კარენინა“ უნდა სიყვარულის ისტორია, ორი ადამიანი იბრძვის ამ სიყვარულის გადასარჩენად, როცა მთელი სამყაროა მათი წინააღმდეგი, მათ ყველა სტაღია გაიარეს — მოწონება, ვნება, სიყვარული... უღალატეს, შეუღლდნენ, გაიძვნენ, ყველაფერი გამოესცადეს.

სიყვარულს უამრავი წახნაბი აქვს, მაგრამ მას არ გააჩნია საზღვრები.


გიორგი ზანგურს ძალიან უყვარს თავისი გმირი, იმდენად, რომ... — როცა მას ვილატა ანას ტრაგიკულ სიკვდილში ადანა-

შაულებს, ან ფიქრობს, რომ ერონსკიმ ამ ქალის სიყვარული ბოლომდე ვერ ზიდა, ან უბრალოდ, ანას შეცნობა ვერ შეძლო. — რეალურ ცხოვრებაშიც მტკივნეულად განიცდის და ამ აზრთა სხვადასხვაობაზე შეუძლია დაუსრულებლად იკამათოს... დაუსრულებლად გაამართლოს ერონსკი და ამტკიცოს, რომ ის არ იყო საყვარელი, რომელმაც დაანერია ოჯახი, რომ ის მხოლოდ სიყვარულისთვის იბრძოდა.

— ერთი ადამიანი სიყვარულს ვერ გადაარჩენს. ზოგჯერ მეორე სუსტი აღმოჩნდება ხოლმე ამ ბუზზე, ანამ თავისი სიკვდილით მეც მოგვლა — ვრონსკი. კარენინმა გაიმარჯვა.

სიყვარულის ბუზა ის ბუზაა, სადაც არ უნდა დაიბალო. ვრონსკი არ დაღლილა, არც გატყვეილა, უბრალოდ სახე იცვალა.

მაშურებელი სემპტაჟის სცენარ გმირებში საკუთარ თავს აღმოაჩენს. დარწმუნებული ვარ, დარბაზში იქნება უამრავი ვრონსკიც, ანაც, კარენინიც, ლევინიც და ნახავენ, რომ მსაბ ისტორია, რომელიც ყოველთვის ხდება, ყველა საშუალებაში მეორედება, განმეორდება...



მაყურებელს, რომელიც ამ სპექტაკლზე მოვა, არ დახედება ერონსკის სტერეოტიპი... ეს იქნება სრულიად ახალი, ახლებურად შეგარბილი სცენური სახე... იქნება იგივე ეპოქა, სტატუსით — გრაფი, მაგრამ მისი შინაგანი მდგომარეობა, სიყვარული-სადმი დამოკიდებულება სხვაგვარად წარმოჩინდება. რადგან ასე მხოლოდ მე-19 საუკუნეში არ უყვარდათ. ასეთი სიყვარული დღესაც შეგხედებათ... ამ სამყაროში ყოველთვის იქნება ერონსკიც, კარენინიც და ანაც...

გიორგი ზანგურისთვის წარმოუდგენელია ემოციის გარეშე ისახუბროს თავის გმირზე — გრაფ ალექსეი ერონსკიზე.

რეჟისორისგან როლის შემოთავაზება, ჯერ კიდევ სცენარის დახვეწამდე მიიღო და ისიც დაუფიქრებლად, დიდი სიხარულით დათანხმდა. ან საფიქრალი რა იყო — როცა ყველა მსახიობისთვის „ანა კარენინაში“ თამაში ბედნიერებაა, ერონსკიც ბევრისთვის სასურველი და საოცნებო როლია.

— კალიან გეგრი ვერ გედავს შეგიძლოს კლასიკას. „ანა კარენინა“ კლასიკაა. მე მომხრე ვარ, რომ შემოქმედმა ბარისკოს და მოიგოს კიდეც. ამ ნაწარმოებს არ გააჩნია



● ირმა მარღალეიშვილი

როდესაც შეიტყო რეჟისორი გიორგი სიხარულიძე „ანა კარენინას“ დადგმას აპირებდა, უმაღლესი გონებაში — „ფრონსკი?!“

როდესაც ქალბატონმა ნანა ქაჯაიამ „ანა კარენინას“ პრემიერისთვის, სპექტაკლში მონაწილე მსახიობებზე სტატიების მომზადება აქვეყნებდა ჟურნალისტებს მიახლო, მეც ასე ვიფიქრე — „ფრონსკი?!“

არა, ფრონსკი არა...

ალექსეი ალექსანდროვიჩი კარენინი — ღათო როინიშვილი.

— როგორც კი გავიგე, რომ „ანა კარენინას“ დაგდგამდით, ვიფიქრე, — იქნებ, ფრონსკი უნდა ვითამაშო-თქო, ჩემი გადასაწყვეტი რომ ყოფილიყო, მე ფრონსკის ავირჩევდი, არის ჩემს ხასიათში რაღაც ფრონსკისეული... თუმცა, ისეთი თაობის მსახიობები ვართ როლებზე განაწილებულნი, რომ უკვე კარენინის ტიპის როლები უფროა ჩემსკენ...

ხელახლა წაიკითხავდით, ალბათ „ანა კარენინას“...

— წავიკითხე. ნებისმიერ ნაწარმოებში ყოველი ახალი წაკითხვისას რაღაც ახალს აღმოაჩენ, ახლა მითუმეტეს, როცა ნაწარმოებს ყოველდღიურად ეხები. ეს არის კლასიკა, რომელიც რამდენჯერაც არ უნდა წაიკითხო, მასში მაინც აღმოაჩენ რაღაც ახალს, დეტალებს... „ანა კარენინაში“ ძალიან ბევრია სიღრმისეული ნიუანსები, რომლებიც ნელ-ნელა ზედაპირზე ამოდის. გმირზე მუშაობისას ასეა — შეიძლება 99-ჯერ ითამაშო სპექტაკლში და მგასედ, რაღაც ახალი აღმოაჩინო შენს გმირში, თუნდაც უმნიშვნელო დეტალი, მაგრამ ისეთი, რომელიც გეხმარება, ავსებს გმირის სახესა და ხასიათს...

— კარენინი ნაწარმოებში (და სპექტაკლშიც) არც თუ ხშირად ჩანს, თუმცა ამ კაცის იდუმალი აჩრდილი თან ახლავს მთელს ნაწარმოებს.

— ერთი შეხედვით, კარენინი მონსტრია... ეს მონსტრობა ჩანს მის ხასიათში, მის ირგვლივ მყოფთაგან და განსაკუთრებით ანასადმი დამოკიდებულებაში.

— უყვარს ანა?

— რატომაც არა! უყვარს, იქნებ სულაც არ არის მონსტრი, რადგან უყვარს... არ ვიცი... ერთია, როგორ ვხედავ მე და მეორეა — როგორ დაინახავს მაყურებელი. ძნელი სათქმელია, რომ ამ ამბავში ერთი რომელიმე, თავიდან ბოლომდე დადებითი გმირი იყოს. აუცილებლად იქნება აზრთა სხვადასხვაობა ანაზე, გრაფ ფრონსკიზე, კარენინზე... ყველა გმირს თავისი სიმაღლე აქვს, მით უმეტეს, უარყოფით გმირს.

როცა უარყოფით გმირზე მიწვევს მუშაობა, ყოველთვის მის სიმაღლეს ვეძებ, ამიტომაც ფრთხილი და რთული სამუშაოა. კარგად დაკვირვება უნდა ყველა დეტალს, თორემ შეიძლება არასწორი გზით წავიდეს, განვითარდეს გმირის ხასიათი. ასე მარტო სცენაზე კი არა, რეალურ ცხოვრებაშიც შეიძლება მოხდეს.

საუბრის გაბრძნობამდე მსახიობი ძველბურ პენსუნს ეძებს — კი მაქვს უკვე, მაგრამ უფრო მკაცრ იერს რომ მომცემს, ისეთი მინდაო...

— სჭირდება თქვენს გმირს კიდევ უფრო გამკაცრება, თუნდაც აქსესუარით?

— გარეგნულად, ერთი შეხედვით, არავის გვეტყობა სინამდვილეში როგორები ვართ. ჩვენი შინაგანი არსი ცოტა

რუს

კარენინისკულს

ძნელი შესაცნობია... კარენინი ყველანაირი ეთიკის დაცვით აკეთებს ყველაფერს. შეიძლება, ასე, პირდაპირ ვერც კი დაინახო რაშია მისი მონსტრობა. მე ცხოვრებაშიც ხშირად მაქვს მსგავსი შემთხვევები, ვფიქრობ ვინმეზე — რა უნდათ ამ ადამიანისგან? რას ერჩიან? მშვენიერი კაცია (ან ქალი), მაგრამ რაღაც პერიოდის შემდეგ, როცა მისი ხასიათი უკეთ შემისწავლია, მიგრძენია, რომ მართლაც ვერ არის რაღაც ისე... არსებობს ინტუიცია, რომელიც ზოგჯერ, უნებლიეთ განსაზღვრავს ჩვენს დამოკიდებულებას კონკრეტული ადამიანის მიმართ.

„ყოველნაირი განსჯა სიყვარულს ანადგურებს.“

ლევ ტოლსტოი

რაც შიგნითაა, ის ძნელი დასანახია, ამას სჭირდება ურთიერთობა, ურთიერთშეცნობა, რაღაც კონკრეტული ფაქტი, მოვლენა, რისი წყალობითაც ადამიანები ერთმანეთს შეიცნობენ.

გმირის ხასიათის გახსნაში მე დამეხმარა ის, რაც ცხოვრებაში მინახავს, პირადად განმიცდია, ცოცხალი მაგალითები... ეს ყველაფერი იკიმება და ქმნის გმირის ხასიათს. ამას ემატება თემა, მსახიობის ოსტატობა, რეჟისორის ხელება და ასე ყალიბდება გმირი.

— იქნებ კარენინიც მიიყვანეს აქამდე. ანას სიგიჟედმე მისულმა სიყვარულმა, ვნებამ, ვრონსკისადმი კარენინის სიმკაცრე გაამძაფრა... შეიძლება ისეთი სიყვარული, რომელიც ტრფოზის საგნის გარდა, ყველას და ყველაფერს, მათ შორის შვილსაც გავიწყებს?



— სიგიჟემდე სიყვარული, ყველას და ყველაფრის დაგვიწყება, ძალიან ძნელია, მძიმეა, ცუდია და მაინც — შეიძლება! როგორ არ შეიძლება!

შეიძლება, კარენინმაც მიიყვანა ანა აქამდე, აიძულა ეს მგრძნობიარე, კაშკაშა ქალი ასე მოქცულიყო; რადგან გარეგნულად ასეთი მოწესრიგებული, გაწონასწორებული, დახვეწილი ურთიერთობის მიღმა იყო რაღაც, რაც აკლდა, უფრო სწორედ, თითქმის არ ჰქონდა კარენინს — გრძნობა. ანასა და კარენინის ურთიერთობაში მეტი მგრძნობელობა რომ ყოფილიყო, იქნებ არ მომხდარიყო ეს ტრაგედია... მე მეცოდება კარენინი. ეს კაცი იმდენად იყო თავის თავში დარწმუნებული, რომ ვერც კი წარმოედგინა, თუ მსგავსი რამ გადახდებოდა თავს. ის, როგორც პიროვნება, შეჭამა სახელმწიფომ და ამასია მისი პირადი ტრაგედია.

— ახლა, როცა სიტყვა „რუსის“, „რუსულის“ გაგონება ასე გვაღიზიანებს, ქუთაისის თეატრში რუსი კლასიკოსის, ლევ ტოლსტოის ნაწარმოებს დგამენ...

— მიუხედავად იმისა, რომ ეს არაა პოლიტიზებული სპექტაკლი, „ანა კარენინაში“ მთლიანად რუსული თემა და რუსული სულია. უბრალოდ, ეს არის ისეთი თემა, რომელიც მაშინაც, დღესაც და მომავალშიც ყველა დროსა და ყველა ქვეყანაში, აქტუალური იქნება. ესაა ქალისა და მამაკაცის, ოჯახისა და საზოგადოების ურთიერთობა და აქ ნამდვილად ადარ აქვს მნიშვნელობა ეს ადამიანები ქართველები იქნებიან, რუსები თუ ამერიკელები...

მე ქართველ კარენინს ვთამაშობ. განა ცოტანი არიან ქართველი კარენინები? ან ქართველი ანა? ან ქართველი ერონსკი? არ ვთვლი, რომ მანერით, სტილით, თუნდაც დეკორაციით, ეს უნდა იყოს რუსული სპექტაკლი, შეიძლება რაღაც დეტალები, ელემენტები რუსული ყოფიდან იყოს შემოტანილი, მაგრამ სპექტაკლი მაინც მთლიანად ქართული იქნება.

...ბარათ ჩვეულებრივი, ტრადიციული ქუთაისური ბაზაფხულია — თბილისი, სუსხიანიც...

შიგნით მაღალ მატარებზეა შესაზრობო, თითქმის ამოვწყურათ სასაუბრო თემა, მაგრამ რუსონდენტი არ მითმობა...

— იქნებ კიდევ დაგვრჩა რამე სათქმელი?

— შეიძლება... რა ვიცი... სულ ვფიქრობდი, რომ ცხოვრებაში უფრო ვრონსკისებულ ბაზოცდილმა გმოვდა, ახლა ვხვდები — არის ჩემში რაღაც კარენინისებური?!

რაღაც კარენინისებურიც...

ე.ი. მსახიობი დათო როინიშვილი უკვე ალექსანდრე დუმა-ბაბინია...



„უბრალოდ მოწიგუნნი სიღამისი მთავარი პირობაა. მკითხველი რომ გმინს თანაგრძნობიერს, საჭიროა მასში იმდენივე სისუსტეს სეკურეს, რამდენსაც სიკეთეს...“

ლეო ტოლსტოი

მოუთმენლად ელის ნინო ჭოლაძე „ანა კარენინას“ პრემიერას. მართალია, ეს მისი პირველი როლი ნამდვილად არ გახლავთ მესხიშვილელთა სცენაზე, მაგრამ თეატრში დაბრუნება სწორედ კიტის როლით მოუწია. თეატრის მმართველთან და რეჟისორთან გიორგი სიხარულიძესთან მუშაობა ყოველთვის ძალიან აინტერესებდა და სურდა კიდევ. ამბობს, რომ მუშაობისას მიღებულმა სიამოვნებამ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

არაჩვეულებრივი რეჟისორის გარდა, პარტნიორობასაც ძალიან ნიჭიერი და ცნობილი მსახიობები უწევენ — გიორგი შალამბერიძე (ლეონი) და გიორგი ზანგური (ერონსკი).

— ბატონმა გიორგიმ ძალიან დიდი თავისუფლება მომცა. ჩემს როლს საინტერესო ბანკითარება და გადაწყვეტა აქვს. საკმაოდ რთული როლია, კიტი არის მაბალ-


● მამა ჩინიჭიშვილი

ითი იმისა, თუ როგორ გადაიტყა თოქინა ბარბი, მიწაზე მომშავა ძალად.

კიტი პატარა ბოგო იყო, რომელიც ღრუბლებში დაფრინავდა. ალბათ, ამიტომაც ვერ შეძლო კონკურენცია გაეწია ანასთვის.

— ჩემი გმირის მთავარი თვისება, ვფიქრობ, სიამაყეა, მას არ უშვარს ლეონი, მასზე გათხოვება, შვილები, ოჯახი უფრო შურისძიებაა ვრონსკიზე, ის შეუპოვებელია, მითუმეტეს და სიამაყის გამო აკეთებს ყველაფერს. როგორც მუშაობა ძალიან საინტერესოა, თუმცა მთავარი ხაზი თავიდანვე არსებობდა, მაგრამ ყოველდღე ახალ-ახალი რამ ემატება. გიორგი სიხარულიძე ბოლომდე შენ ვმსთავაზო მას გმირის სახე, ხასიათი და მერე თვითონ იშველირებით ასუშთავეს პერსონაჟს.

ცდილობს რეჟისორის შეთავაზება კიტის, როგორც სცენური გმირის ხასიათის შტრიხების ძიებისას თავად აღმოაჩინოს. როცა გამოუდის, ბედნიერია, სიხარულიძეს მასთან მუშაობა ნამდვილად არ უჭირს, რადგანაც ნინო ნამდვილად ნიჭიერი მსახიობია და ამაში, მაყურებელი თავადვე დარწმუნდება, პრემიერის დღეს.





იძუქომ, მამ...

იგი წრფელია და ამოუცნობი, ქარიზმატულიც...

პირველი ლექსი თოთხმეტი წლისამ შექმნა. სასკოლო წარმოდგენებში მონაწილეობდა და უკვე იცოდა, რომ მსახიობი გახდებოდა.

დებიუტი ქუთაისის დრამატულ თეატრში შედგა. შემდეგ თბილისის ბოჭუმური ცხოვრება. თეატრალურ ინსტიტუტში პროფესორ გიორგი შალუტაშვილის ჯგუფში ოსტატდებოდა, საღამოს „თავისუფალი თეატრის“ სპექტაკლში მონაწილეობდა („ხიდი“ – მარკო, „გუშინდელნი“ – კოწია, „ძველი სახლი“ – პროფესორი), ხანაც პოეზიის საღამოები. ამჟამად, მშობლიურ თეატრშია. სპექტაკლის „ანა კარენინა“ ერთ-ერთი მთავარი გმირია: კონსტანტინ ლევინი – გიორგი შალამბერიძე.



გიორგი
შალამბერიძე

– იმიტომ, რომ... თუმც, ეს მაყურებლის განსასჯელია. ფაქტია, რომ ინსცენირება საინტერესო გადაწყვეტისკენ წავიდა.

რომანში კიტისა და ლევინის ხაზი ცალ-ცალკე მოდის, ინსცენირებაც ასეა. ამით ორივე გმირის შინაგანი ხასიათი უკეთესად სჩანს. ლევინის

● ლელა ცაცაძე

ლიტერატურული პერსონაჟისგან, მით მეტია საფიქრალი, საძიებელი და ესაა სწორედ საინტერესო. თუ საშუალებაა, გიორგი სიხარულით რეპეტიციებზე შანსს არ უშვებს ხელიდან იხუმროს. არის ასეთი სცენა სპექტაკლში – ლევინი კიტის მეორედ ხვდება, სურს ხელი სთხოვოს. არადა, ძალზე დაბნეულია – საიდან დაიწყო, როგორ განაგრძოს, ძალიან მოკრძალებულია. ასეთ დროს რეჟისორი კიტის (ნინო ჭოლაძე) მიმართავს: – მინდა თამაშში შენ იყო წამყვანი და ლევინს შენ ათქმევინო, რისი თქმაც სურს. შენ კი, ლევინ,

„ღიად აქამიანთა ნაზნაჲნი ქროის სხნილსა და სხაჲთა გაცაჲნებულნი.“
ლეო ტოლსტოი

– აქტიორის შემოქმედებაში ძიების, შინაგანი წვის პროცესი განსაკუთრებით წარმატებული და ნაყოფიერია, ინდივიდუალური თვითაზრობის თვალსაზრისითაც. ალბათ, ეს ძიება, ხშირად ხანგრძლივი და დამტანჯველია, და მაინც, როგორ შემოაბიჯა კონსტანტინ ლევინმა თქვენს სამყაროში?

– სასაუბროდ ძალზედ ფაქიზი თემაა, სამუშაოდ რთული. ლიტერატურულ ნაწილს როდესაც მიჰყვები, გმირს წარმოსახვაში ხატავ, რომელსაც რეჟისორისეული გმირიც ემატება და შეჯერება ხდება. ბევრ დეტალში შევთანხმდით, ბევრში – ვერა. საბოლოოდ, გამოკვეთილ ფიგურამდე მივედით, პერსონაჟს ზედმეტი ჩამოვაშორეთ – ტკივილსა და სიხარულს ითავისებ და გმირი შენში ასე, ნელ-ნელა შემოდის. განწყობაც გასაგებია. ამის შემდეგ ცდილობ ეს ყველაფერი მოირგო, თუ გრძობ, რომ ნაპოვნი ხაზი სწორია, გულისყურს ამ ხაზს მიაყრობ და შინაგანად განმტკიცდები, გაძლიერდები. ასეთ დროს რეჟისორისთვისაც პროდუქტიული და იმპულსის მიმცემი ხდება. ვერ ვიტყვი, რომ სრულყოფილებას მივადწიე. მხატვრულ სახეზე მუშაობას დასრულებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩავთვლი, როდესაც მისი ყოველი ნაკეთი ბოლომდე გააზრებული მექანება და ჩემს თავს სცენაზე საბოლოოდ ვირწმუნებ იმ პიროვნებად, ვინც მაყურებელს უნდა წარმოუჩინო. ეს ხანგრძლივი პროცესია და პრემიერის შემდეგაც გაგრძელდება.

– ლევინი ძალზედ იმპულსურია, სად გადის ემოციური ზღვარი ლევინსა და შალამბერიძეს შორის?

– ვფიქრობ, გაცილებით ემოციური ვარ, ვიდრე ლევინი. იგი უფრო დინჯი, თავშეკავებული პიროვნებაა, ნაკლებად ეიფორიული. ვიტყვოდი, რომ ქარიშხლიანი თვისებები არ ახასიათებს. აქ გადის რადიკალურად განსხვავებული ხაზი. თუმც, რაც უფრო განსხვავდები

მაქსიმალურად შეეცადე მან ეს დაბნეულობა გამოიყენოს, ისე, როგორც ცხოვრებაში ქალთან ნამდვილად არ მოიქცეოდით.

მთავარია „მე“ არ დომინირებდეს. კონკრეტულ გმირში, ანუ განსხვავებული ითამაშო.

მსახიობის ოსტატობაც ეს არის – სახეთა მრავალფეროვნება. თუმც, არ გამოვრიცხავ და გარდაუვალია ისიც, რომ წამის მეთასხედში შენში მაინც არის ის რაღაც, რაც როლთან გაახლოებს, რადგან იგი ჩვეულებრივი ადამიანია, კონკრეტულ შემთხვევაში კი ლიტერატურული გმირი.

– წლების წინ თქვენი და ნინო ჭოლაძის დებიუტი შედგა სპექტაკლში „წვიმის გამყიდველი“. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, თეატრს ორივენი დაუბრუნდით და ისევ პარტნიორები ხართ. სპექტაკლში კიტი თქვენი საუკრული და საოცნებო ქალია. თქვენ მისგან გარბიხართ, ლევინის სცენური ცხოვრება ასცდა ლიტერატურული პერსონაჟის ცხოვრების ლიანდაგს, რატომ?

შესაძლებლობები და ვალდებულებები ასე უფრო გამოკვეთილია, როგორც უძლიერესი ოჯახის შვილისა, რასაც ის ხაზს ხშირად უსვამს. ძლიერი პიროვნებაა და სოფლად თავს ისევე კარგად გრძნობს, როგორც კარენინის გარემოცვაში. იგი საკუთარ მდგომარეობას ყოველთვის აღნიშნავს, განსაკუთრებით მისი და ვრონსკის მეტოქეობის გამოკვეთისას. ვრონსკი მას სოფლად მცხოვრებლის მოსაწყენ მარტოობაზე სიტყვას ჩამოუგდებს, რაზეც მკვებდ პასუხობს: – თუ საქმე გაქვს, არ მოგწყინდება და არც საკუთარ თავთან მოსწყინდება კაცს. ამით კიტისა და ვრონსკის ერთდროულად ეუბნება, რომ ძლიერია, რწმენა აქვს, ხოლო უსაქმურ ქალაქლებს, ყველაფერი ყელში ამოუვიდათ.

საბოლოოდ, ლევინს ყველა მეტოქე ჩამოშორდება. შეირთავს კიტის, გაჩნდება შვილი და თითქმის მას ნაოცნებარი აუხდა. ბედნიერი ცხოვრებისთვის არაფერი აკლია, მაგრამ იმ გადაწყვეტილებამდე მიდის, რომ დატოვოს საერო ცხოვრება და მონასტერში წავიდეს. მსგავსი ინსცენირება არა-



თითქმის ყველა მამაკაცს უოცნებია, უოფილიყო ვრონსკი, თუმცა, მთელი ცხოვრება კარენინი უოფილა... ყველა ქალს, წამიერად მაინც მოსურვებია ანა კარენინას გამბედაობა ჰქონოდა, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე ოჯახის კედლებს დოლიდ შერჩენია... არსებულისა და თავის დაღწევის სურვილი და ნაოცნებარის შიში, მუდამ თან სდევდათ მორჩილებს... თუმცა, არიან განსხვავებულნიც, თითქოს, შეუმჩნეველნი, მაგრამ უფრო ძლიერნი, მშვიდნი, მცირედითაც კმაყოფილნი.

ახლა იგი უნდა გაცოცხლდეს და ქართველი მაყურებლის წინაშე წარსდგეს – მშვიდი, შვილებზე და ქმარზე გადაგებული, ოჯახის მოყვარული, პატიოსანი დედა და ცოლი. ქალი, რომელიც საკუთარ თავზე არ ზრუნავდა, რადგან მისთვის უპირველესი ოჯახის წევრები იყვნენ.

მაღალი არისტოკრატიული წრის წარმომადგენელს, ოცნებებიც მრავლად ჰქონდა... სწორედ, ოცნებით გაჟვია ქმარს და ოცნების კაცი შეიყვარა მასში. ამიტომაც ვერ აიტანა მეუღლის პირველი დაღვრა და ემოციებს აჟვია. მულთან, ანა კარენინასთან გულწრფელი საუბრის შემდეგ, ამ „ტივითსაც“ შეეგუა. ქმრის მცირედ სასიკეთო ცვლილებებსაც კი შეჰხაროდა, სიყვარულზე შეყვარებული მანდილოსანი.

❖❖❖

დოლის (დარია) შჩერბაცკაიას ამჯერად ქართველ მაყურებელს მაღალი ბასილაძე წარუდგენს... განსახიერებს გმირს, რომელიც მასთან ძალზე ახლოა. თუმცა დოლის პერსონაჟის ზედმეტი მორჩილება და უპ-

ვის გაუკეთებია. ეს იდეა ერთ დღეს რეპეტიციაზე გაჩნდა:

– ხომ არ გვეცადა გმირი წასულიყო ოჯახიდან?

– რატომაც არა, უფრო დამაფიქრებელია...

ლევინი მიდის მაშინ, როცა ყველაფერი აქვს.

– „ანა კარენინას“ ეკრანიზაცია რუსებმა რამდენჯერმე გააკეთეს, ბოლოს ამერიკელებმაც. თქვენთვის რომელი ვარიანტია მისაღები?

– სხვათაშორის, არც სპექტაკლი და არც ფილმი არასდროს მინახავს. ალბათ, სასურველი არც იყო, რადგან საკმარისია ცოტა მაინც მოგეწონოს და გაუღენა გარდაუვალია, საკუთარი

მოქალაქე საჩუქრელი



ქალი ბასილაძე

ამოსული ია

„გონებრივი და სწავლებრივი ყოველთვის ერთმანეთს ემთხვევა.“

ლევ ტოლსტოი

როტესტო ცხოვრების მანერა, ოდნავ მაინც აღიზიანებს.

ქართველ მსახიობს, ქართულ სცენაზე, სურს სხვაგვარი შტრიხები შეიტანოს დოლის სახეში და ამით, მისი ხასიათის სხვა ნიუანსებზე გაამახვილოს მაყურებლის ყურადღება.

ნების გარეშე, სხვისი როლი შემოგვპაროს. პრემიერის შემდეგ სიამოვნებით ვნახავდი, უფრო ანალიზისთვის. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ხასიათს დამოუკიდებლად მივაგნო.

– როცა სცენაზე „ბოზოქრობით“, მეორე მუზა - პოეზია დუმს?

– სცენაზე ყოფნისას მხოლოდ და მხოლოდ იმ ცხოვრებით ვსულდგმობ. იქ ყველაფერი გათვლილია, სამუშაო პროცესი – მოხარშული. ისე, რომ მაყურებელამდე დახვეწილად მივიტანო.

– როლის შესრულებისას, სცენაზე საჭიროა არა მხოლოდ ფსიქოლოგიური თვითშეგნების მოპოვება, არამედ სიტუციის, როგორც შინაგანი ქმედითი განც-

● ლელა ხაჭაპურიძე

❖❖❖

მაღალი ბასილაძისეული დოლი მაშინ, მე-19 საუკუნეში, მაღალი საზოგადოების შეკრებებისას აქტიურად იცავდა ქალთა უფლებებს. კამათობდა, როცა ქალის უნარს არა სათანადოდ აფასებდნენ, ამბობდნენ, რომ განათლება ქალს დაღუპავს, ახალ ფიქრებს აღუძრავს და ოჯახს ვერ მიხედავსო. ცდილობდა, ქალთა შესაძლებლობები წარმოეჩინა და ამით დამტკიცებინა ძლიერ სქესთან სუსტი სქესის თანასწორობა. მოკრძალებული, პატიოსანი ადამიანები მოსწონდა... თავადისა და გლეხის თანასწორობაზე ფიქრობდა... შენატროდა გლეხების პატიოსან, მოყვარულ და მრავალშვილიან ოჯახებს... მეგობრებით ესაუბრებოდა გლეხის ქალებს, რაც ამ უკანასკნელებში მისადმი დიდ პატივისცემას აღძრავდა.

❖❖❖

მაღალი ბასილაძე ახლა, 21-ე საუკუნეში, განსაკუთრებით აფასებს მისი გმირის ხასიათის სიძლიერეს, ფიქრობს, რომ ამით და სხვა ბევრი ნიუანსით ახლოა მასთან, რაც ეხმარება გაითავისოს და კარგად გამოსახოს დოლის სულის ნიუანსები, მასში მომხდარი მცირეოდენი ძვრებიც კი.

❖❖❖

სცენა... დარბაზი – მაყურებლით სავსე... მაღალი ბასილაძის სახეში მოქცეული დარბაზი აღექვანდროვნა.

მსახიობმა ია უნდა დახატოს, მოძალეულ სარეგულში ამოსული ია, პირველად რომ შეუძლია გაყინული მიწის ამოხეთქვა.

დის გარეგანი გამოხატვაც, ანუ მუშაობთ გონებით, გულით, სხეულით...

პრემიერის წინ როგორ ეხმარებოდათ თავს მობილიზებაში?

– განსაკუთრებული არაფერია. წარმოდგენამდე რამდენიმე საათით ადრე მარტოობა მიყვარს. არავისთან საუბარი, შეხვედრა, შეკითხვები. მობილიზებაში სიჩუმე მეხმარება... და კიდევ, ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს შემოქმედებით ჯგუფს. ქუთაისში ამ სპექტაკლით დაგბრუნდი. ის ადამიანები, ვინც ძალიან მიყვარს, აქ დამხვდნენ. ჩვენ ერთად ვაკეთებთ სპექტაკლს და მჯერა, „ანა კარენინა“ ნამდვილად ხმაძიებელი იტყვის თავის სათქმელს.



გრაფინია ლილია ივანოვნა -

ევა ხაყცყნაშვილი,
საქართველოს დამსახურებული არტისტი

„ყველა არსებას გააჩნია ღრგანოები, რომლებიც მიუთითებენ მის ადგილზე სამყაროში. ადამიანისათვის ეს ღრგანო გონებაა. თუ გონება ა რ მიგითითებს შენს ადგილზე სამყაროში და შენს დანიშნულებას, მაშინ იცოდე ამში სამყაროს სოციალური მოწყობა ჯი არ არის დამნაშავე, არამედ შენი გონება, რომელსაც შენ ცნო მიმართულება მიუცია.“

რეჟისორი

თეატრალურ ხელოვნებაში დაწერილი, თუ დაუწერიელი კანონებიდან, რაც დიდი და პატარა როლები-სა თუ მსახიობების შესახებ არსებულ მსგავსს გამონათქვამს ეხება, ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობი თენგიზ ჯავახაძე, ხშირად იყენებს ხოლმე პრინციპს – მსახიობისთვის, ცუდ პიესაში მონაწილეობას, სჯობია კლასიკაში სცადოს ბედი.

ლამის ნაფიჩი „სტივა“

● სოფიკო მანანაშვილი

– კარგია, როცა ამის საშუალებას გაძლევს რეჟისორი. აქ სხვა რიტმია, სხვა სულია, კლასიკა ბოლოს და ბოლოს. – ამბობს თენგიზ ჯავახაძე, რომელიც ხუთწლიანი პაუზის შემდეგ, თეატრში სპექტაკლებით „გუშინდელი“ და „დიდრო“ დაბრუნდა. ამჯერად კი, ლევ ტოლსტოის „ანა კარენინაში“ ანას მმას – სტივას განასახიერებს.

– ჩემი როლი ეპიზოდურია, მაგრამ მინდა მაუწყებელს თავი დავამახსოვრო, მართალი გითხრათ, ძალიან მეშინია. ჩემი გმირი მსუბუქი ჟოფაქცევის კაცი არ არის, იგი უბრალოდ თავისი ცხოვრების კაცია, ყოვლად უემოციო და თანაც საკუთარ სიამოვნებას აყოლილი. ამ როლის თამაში არც ისე იოლია. – ამბობს თენგიზ ჯავახაძე. მსახიობს რეჟისორისგან მხოლოდ ერთი მიმართულების შენიშვნა აქვს – რაც შეიძლება ნაკლები ემოცია და არა ქართული, ცივი ბუნება.

ფიქრი სტივაზე ღამით იწყება.


– მსახიობები ღამის ნაფიჩრს ვეძახით ძაფს, რომელიც დილაშემდე არ უნდა გაწყდეს და სცენაზე უნდა

მიიტანო. მაგრამ, როცა დროში ჭიანჭურდება მუშაობა, რაღაცეები იკარგება, რაღაცეები ცივდება... უნდა ეცადო, რომ არაფერი დაკარგო, მე ბევრს ვფიქრობ როლზე.

ტოლსტოის სტივას, რომლისთვისაც სამყარო მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის შეუქმნია განგებას, რეალურ ცხოვრებაში როლის შემსრულებელთან საერთო მხოლოდ ის აქვს, რომ გარეგნულად ემსგავსება თავის სცენურ პარტნიორს, რომანის გმირს. მსახიობმა ამ როლისთვის თმაც გაიზარდა და წვერიც მოუშვა. ხშირად ხუმრობს ხოლმე – ამ ხნის კაცი გაბუძვული დავდივარ, მაგრამ თუ საჭირო გახდება, უღვაშს მწვანედაც შევიღებავო.

სტივას პროტოტიპების ძიებაში დიდი დრო არ დაუხარჯავს, როგორც თავად ამბობს, 21-ე საუკუნის ქართულ საზოგადოებაშიც ძალიან ბევრი სტივა უნახავს.

– რამდენიც გინდათ იმდენი სტივა ჩვენს ირგვლივ; მათ ყველაფერი აქვთ, ოღონდ თავისთვის. გარესამყაროში არაფერი აინტერესებთ, არც ოჯახი, არც პოლიტიკა, არც სა-



თენგიზ ჯავახაძე

ზოგადობის აზრი და არც სხვისი პრობლემებია. განა ცოტაა ასეთი ადამიანები? ეს დღესაც პრობლემატური თემაა, თუმცა გაცილებით პრობლემატური, ანას და გრონსკის ურთიერთობა რომ არის, უდავოა. – თვლის მსახიობი.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ქართულ სცენაზე გადმოტანილი რუსული კლასიკის ახალი ვარიანტი სტივასთვის, არც ისე რთული და საძიებო სცენური სახე აღმოჩნდა. თენგიზ ჯავახაძის სტივა განსხვავებულია. სტივა, რომელიც ცხენს დალით ცნობს, შეყვარებულ ჭაბუკს კი – თვალცივით...

გ ა ნ ს ხ ვ ა გ ე ბ უ ლ ი . . .



მარგა გერგიუძე

ქსიოზი- ჟუსული აქალუი

• გვანცა ჯამახაძე

„იყავი სამართლიანი ბავშვებთან და შეუძლებელი იქნებოდა, თორემ
ცუდი მთქმელი.“

რეზ. ცოცხალი

ბოლო სპექტაკლებში ამბულა შე-
ვიცვალე. „გუშინდელში“ ჩემი გმირი,
პრაქტიკულად, ტრაგიკული თუ არა,
დრამატული ნამდვილად იყო. „ანა
კარენინაში“ გადავწყვიტე, რომ უფრო
ასაკოვანი ქალი ვითამაშო, დინჯი,
სერიოზული.

სპექტაკლში მე ვარ ანას ვაჟის, სე-
რიოზის ძიძა. მყავს სრულიად ახალ-
გაზრდა, ძალიან სასიამოვნო და უსაყ-
ვარლესი პარტნიორი – პატარა დათუნა
კოხრეიძე. დათუნა დიდი ენთუზიაზმით
და გატაცებით ეკიდება საქმეს. პრაქტი-
კულად, ტექსტი არა აქვს და თავიდან,
როცა მხოლოდ ვიწყებდით რეპეტიცი-
ებს, იკითხა, – გამაგებინეთ, ეს სერიოზი
მუნჯია?

ეპიზოდების სიმცირის მიუხედავად,
მაქვს ძალიან სასიამოვნო სცენური
შეხვედრები ქალბატონ ევა ხუტუნაშ-
ვილთან და დათო რიონიშვილთან. ქალ-
